



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 5 21 0000491481



27/05/2021

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან, არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარღვევით ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 1 სექტემბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 757668 სააკრედიტაციო განაცხადი „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 სექტემბრის № 870492 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 ნოემბრის № 1132241 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 17 და 18 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 22 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,		✓		

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 29 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევესხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ დამატებით განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია, რიგ რეკომენდაციებს კი შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილის აკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით, ხოლო 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 27 მაისის № 490756 სხდომის ოქმის № 3 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. აკრედიტაციის საბჭოს მიერ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- განიმარტოს და გასწორდეს ჩანაწერი 180 ECTS კრედიტის შესახებ საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის შესაბამისად;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 და მე-8 სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს მათი გაზომვადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო ცხადი მახასიათებლებით; ასევე გამკაცრდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- მიღების წინაპირობების გადახედვა, დოქტორანტების ცოდნის საწყისი ნიშნულის (მინიმალური მოთხოვნების გამკაცრება) აწევა;
- კურსში „IoT ეკოსისტემის გამოწვევები და დიზაინის პარადიგმები“ გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების სირთულე;
- ძირითად ლიტერატურაში გაიზარდოს თანამედროვე/ინგლისურენოვანი მასალის ოდენობა;
- რეკომენდირებულია მონიტორინგი განხორციელდეს სადოქტორო ნაშრომების შინაარსი სტანდარტებთან, უნივერსიტეტის განახლებულ დებულებასთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ დოკუმენტაციაში აისახოს სადისერტაციო ნაშრომის ერთჯერადი შეფასება;
- სასწავლო პროგრამაში მეთოდოლოგიისა და მისი აუცილებლობის კომპონენტის გაძლიერება;
- კვლევითი საქმიანობის წარმოებისას მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება და უფრო ცხადად წარმოდგენა;
- რეკომენდირებულია მონიტორინგის ციკლის გახშირება და უკუკავშირის ციკლის შესაბამისად აწყობა. მაგ. კურსები თემატიკების როგორც პროგრამის შიგნით, ასევე სხვა საფეხურებთან კვეთა (მაგ. საბაკალავრო, სამაგისტრო დონესთან) თანამედროვე მიღწევების განახლება/დანერგვა.

რჩევები:

- მიზნებში უფრო ცხადად გაიწეროს პროგრამის მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ელემენტები;
- აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.
- კონფერენციებში მონაწილეობისთვის ფინანსური დახმარების მისაღებად გაიწეროს ცხადი და დეტალური პროცედურები;

- საერთაშორისო ექსპერტებთან კომუნიკაციის გაღრმავება, აღრიცხვა, გათვალისწინება;
- სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა არა მხოლოდ ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 27 მაისამდე)

5.1 მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2 წელი (2023 წლის 29 მაისამდე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღეს, 2021 წლის 27 მაისს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა

ნ. თიკანაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

მ. შენგელია

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09 .2012 გადაწყვეტილება N 479
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჭავრებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 27 მაისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენის ვადა: 1 წელი, (2022 წლის 27 მაისამდე); მონიტორინგის განხორციელების ვადა: 2 წელი (2023 წლის 29 მაისამდე).
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 29 მაისი